572
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1967 მაისი №5

# დილა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საზეიმო

მორის ფოცხიშვილი

ჩემი პატარა სიმღერა
ჩუმად გავანდე მტრედს,
მტრედი ბულბულებს ეტყოდა,
ბულბულები კი—ტყეს.

ტყე ბილიკს გაენდობოდა,
ბილიკი კიდევ—მთებს.
მთებმა მდინარეს უამბეს,
მდინარეებმა—ზღვებს.

ზღვა ზეცას გაეშლებოდა,
ცა—ვარსკვლავებს და მზეს;
ასე მოედო სამყაროს
ჩემი სიმღერა დღეს.
შენს სიყვარულში, სამშობლოვ,
შევეჯიბრები სხვებს.

ნახატი თენგიზ სამსონაძისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინთან ავტომანქანაში

ლ. კოლვოისკი

ნახატები რევაზ ცუცქირიძისა

ეს მოხდა პეტროგრადში, როდესაც ჩვენ მშობლებთან ვცხოვრობდით. მეფე სულ ახალი ჩამოგდებული იყო. მუშები, ჯარისკაცები, მეზღვაურები საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბურჟუებს ებრძოდნენ. ყველგან — ქუჩებში, მოედნებზე კრებები და მიტინგები იმართებოდა, რაც ხშირად სროლით მთავრდებოდა ხოლმე.

მაგრამ ჩვენ, ბავშვებს, არ გვეშინოდა, რადგან ვიცოდით, რომ დიდებული საქმე — რევოლუცია მზადდებოდა.

ისიც ვიცოდით, რომ ჩვენი მშობლები რევოლუციონერები, ლენინელები იყვნენ. ლენინთან ერთად მედგრად იცავდნენ მუშათა საქმეს და ხალხის ბედნიერებისათვის იბრძოდნენ.

ხშირად სახლშიც ვთამაშობდით აჯანყებობანას, ვამტვრევდით ავეჯს, ვწვებოდით „ბარიკადებში“, დედას აშინებდა ჩვენი ყვირილი და გვემუქრებოდა, ყველაფერს მამას ვეტყვით. ჩვენ გავისუსებოდით.

მამა მკაცრი გვყავდა. გვიყვარდა და გვეშინოდა კიდეც.

ერთხელ მამა შინ ავტომანქანით მოვიდა. ჟრიამულით შევეგებეთ, დიდი ხანია გასეირნებას გვპირდებოდა. ბოლოს და ბოლოს გვეღირსა.

მაგრამ მამამ გვითხრა: ახლა არ მცალია, ლენინმა დამავალა, სასწრაფოდ შინ გამოია-



რე და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ერთად წავიდეთო.

გვეწყინა. თუ მამა სასტიკია, მაშ, როგორია ლენინი, მამა რომ ასე უგონებს და ყველა ბურჟუას კი იმისი ეშინია?!

ვიფიქრეთ, ალბათ ლენინი მამაზე მაღალია და უფრო რიხიანი ხმაც აქვს. ვინ იცის, მასთან ახლოს ყოფნა საშიშიც კი არის...

გასეირნების სურვილიც დაგვეკარგა.

მაშინ დედამ თქვა, სამუშაოდ კომიტეტში მეც მეჩქარება, ბავშვებს ვერავისთან დავტოვებო.

სწრაფად მოგვიყარა თავი და ჩვენც გავეშურეთ.

მივედით იმ სახლთან, სადაც ლენინი ცხოვრობდა. ის კი არ დაგვხვდა. გვითხრეს, მანქანას ველარ დაუცადა და წავიდაო. განვაგრძეთ გზა; იქნებ სადმე დავეწიოთ?

მივდივართ, ვჩქარობთ.

უცბად მამამ გაზეთის კიოსკთან თვალი ვიღაც ნაცნობს მოჰკრა, მანქანა შეაჩერა. საშუალო ტანის მამაკაცი იყო, კეპი ეხურა. პიჯაკის ჯიბიდან გაზეთებს ამოეყო თავი. ჩვენ საჩქაროდ ლენინს უნდა დავწეოდით, მამა კი ყოვნდება, რომ ვიღაც შემხვედრი მანქანაში ჩაისვას.

ის უცნობი კმაყოფილია, დედას თავი დაუქნია, ჩვენს გვერდით ჩამოჯდა და ღიმილით გვითხრა:

— გამარჯობათ! რა გქვიათ, პატარებო?

და როდესაც ჩვენი პასუხი ვერ გაიგონა, გვთხოვა:

— ხმამაღლა! რისა გეშინიათ? კი არ შეგჭამთ.—და როცა ჩემს პატარა დაიკოს ხელში ბურთი დაუნახა, გაიცინა და დაუმატა:—არც ბურთს წაგართმევთ!

ჩვენც გავიცინეთ. მას მხიარული სახე ჰქონდა.

— აი, თამაშზე კი უარს არ ვიტყვი.

ბურთის თამაში გაჩაღდა. და სანამ მივდიოდით, ბურთს ისე ოსტატურად ვაწვდიდით ერთმანეთს, რომ ერთხელაც არ გავარდნიათ.

შეუმჩნევლად მივედით ცენტრალური კომიტეტის შენობასთან. ყველანი გადმოვედით, მანქანა კი სხვა საქმეზე წავიდა. მამა და დედა სხვადასხვა კარებში შევიდნენ. წავიდა უცნობიც. მაგრამ დაგვინახა თუ არა, რომ ქვაფენილზე მარტონი დავრჩით, მოგვიბრუნდა:

— მარტო ქუჩაში არ გეშინიათ?

— არა, მიჩვეულები ვართ!

— ხშირად გტოვებენ მშობლები უმეთვალყუროდ?

— ჩვენი გამზრდელი სოფელში წავიდა. რევოლუცია უნდა მოახდინოს!

— ძალიან კარგი. მაგრამ ბავშვების მარტო დატოვება მაინც არ შეიძლება. აქ მოიცადეთ, მე თქვენს მშობლებს რიგიანად შევახურებ,—გაგვაფრთხილა, არსად წახვიდეთო, გუშაგს სწრაფად ჩაუარა და ცენტრალური კომიტეტის შენობაში შევიდა.

უცბად შეშფოთებული დედა გამოჩნდა.

— ეს რა ჰქენით, რატომ მიჩივლეთ ლენინთან?—წამოიძახა აღელვებულმა.—არაფერი არ შეგმთხვევიათ, არც მოწყენილები ხართ და არც ტირით!

ავღრიალდით, მაგრამ როგორ!

დედამ ვერასგზით ვერ დაგვაწყნარა, რადგან არ იცოდა, რა მოხდა. ჩვენთვის კი რა ძლიერ დასანანი იყო, რომ ლენინი ვერ ვიცანით. მანქანით სეირნობისას რევოლუციის ყველაზე უდიდეს ბელადთან ყოფნით ვერ დავტკბით. როგორც უბრალო ნაცნობს ისე ვეთამაშებოდით!

თარგმნა ქ. გოგიაშვილმა



# სარეცხი

მერი ბოლქვაძე

ნახატი ზურაბ კაპანაძისა



დედა სარეცხს რეცხავს, პატარა ირინეც იქვე ტრიალებს, დედას გვერდიდან არ სცილდება, ხელებს სარეცხით სავსე ტაშტში ჭყოფს, საპნიან წყალს იატაკზე ასხამს და თვითონაც იწუწება.

— ირინე, ირიკო!

ვინ იძახის?

ვინ იძახის და ბავშვები იძახიან:

— დეიდა თალიკო, ირინეს წავიყვანთ ჩვენთან სათამაშოდ.

— სათამაშოდ სად სცალია!—სიცილით გასძახა დეიდა თალიკომ ბავშვებს.

ბავშვებს გაუკვირდათ:—სათამაშოდ ვის არ სცალიაო?—მოვიდნენ და იკითხეს.

— ვისა და ირინესო.—გაუმეორათ დეიდა თალიკომ.

— რას აკეთებს?

— ვერა ხედავთ, სარეცხის რეცხვაში მეხმარება!

ყველანი ირინეს შემოეხვივნენ:

— ჰე, რას ჰგავს, როგორ გაწუწულა?—გადაიკისკისა ასმათმა. აკისკისდა დარეჯანიც.

— ამდენი საქმით დაიღლები, წამო, ეზოში ვითამაშოთ!—უთხრა გელამ ირინეს.

— არა!—იუარა ირინემ,—სარეცხს ვრეცხავ!

— ოჰ, ოჰ!—ბავშვებმა სიცილი დააყარეს—შენი გარეცხილი სარეცხი!..—და ისევ ეზოში გაიქცნენ.

დედამ და ირინემ კი რეცხეს და რეცხეს სარეცხი, როცა მოათავეს რეცხვა, დედამ თქვა:

— წამო, ახლა გავფინოთ!

ირინეს კისერზე სარჭების გრძელი აცმულა ჩამოჰკიდა მძივივით, თვითონ სარეცხით სავსე ტაშტი დაიჭირა ხელში.

— რა ლამაზი მძივი მაქვს!—მოე-

წონა ირინეს სარჭების აცმულა.

დედამ თოკი გააბა ეზოში, თოკზე სარეცხი გაფინა, სარეცხი სათითაოდ სარჭებით დაამაგრა და ირინეს ყელზე ჩამობმული მძივი დაუცარიელდა.

მეზობლებმა რომ სარეცხი დაინახეს, თალიკოს შესძახეს:

— თალიკო, თალიკო, რამდენი სარეცხი დაგირეცხია, როგორ მოგრიე!

თალიკომ გაიცინა და თქვა:

— ირინე მეხმარებოდა!

— მართლა? მართლა?—გაუხარდათ მეზობლებს, და ახლა ირინეს დაუწყეს ქება.

დაუბერა ნიავმა და მზემაც უფრო მეტად დააცხუნა, რომ თალიკოს და ირინეს სარეცხი ჩქარა გაეშრო.



# სალუტი

აკაკი ბენაძე

სალუტმა დაიგრიალა,
ფანჯრები შეაზანზარა,
ბრწყინავს მთაწმინდა
ზღაპრულად,
ხარობს დიდი და პატარა.
ცამ ყვავილები ბდღვრიალა
სულ ბავშვებს გადმოგვაყარა.



# თქვენთან მინდა

მერაბ კლდიაშვილი

ლაღად გადმოვიარე
ველები და სერები,
ვიცი, გაგეხარდებათ,
ვიცი, მომეფერებით.

მეც იმიტომ მიყვარხართ,
სხვაში რომ არ გეცვლებით,
თქვენთან მინდა დავჩეკო
პაწაწინა მერცხლები.

# ხანძარი

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ნახატები ზურაბ მეძმარიაშვილისა

სოფელში ხმა დაირხა, მარწყვი დამწიფებულაო.

ბავშვები შეიკრიბნენ და მახლობელი გორაკისაკენ გაეშურნენ, ფერდობებს ჟივილ-ხივილით მოედვნენ, ბალახებში ჩამალული, წითლად მოღუღუნე მარწყვით პირი ჩაიტკბარუნეს, მერე გორაკზე დასხდნენ და სოფელს გადახედეს.

პატარა მიტომ მაშინვე თავის სახლს დაუწყო ძებნა, სოფელში იმათზე დიდი კაკალი არავის ედგა, კაკლის ხე მალე იპოვა, მაგრამ წითელკრამიტიანი სახლი ვერ შენიშნა, მის ადგილზე კვამლის უზარმაზარი ღრუბელი ადიოდა და ცის სილაჟვარდეში იკარგებოდა.

— ვაიმე, ჩვენს სახლს ცეცხლი გასჩენია!— შესძახა მიტომ და შიშით გულგახეთქილი ფერდობიდან დაეშვა.

— ხანძარია, ხანძარი!—აყვირდნენ მისი ამხანაგებიც და თავპირისმტვრევით მიტოს უკან დაედევნენ, თან ხმამაღლა ყვიროდნენ, რომ სოფელში მალე გაეგოთ.

გორაკი უკან დარჩა, პატარა მინდორი გადაირბინეს და სოფელში ყიჟინით შეცვივდნენ.

— ხანძარია, ხალხო, ხანძარიიი!

მთელი სოფელი ფეხზე დადგა.

მიტო ყველაზე ადრე შევარდა ეზოში, მიიხედმოიხედა და პირკატა ეცა.

რის ხანძარი, რა ხანძარი! თურმე ბებია კატოს თონე გაეხურებინა და იმოდენა კვამლიც იქიდან ამოდიოდა.





# მშიშარა სოლიკო

ქეთევან ჭილაშვილი

ნახატები ლამარა დანელიასი

სოლიკო ფანჯარასთან მიმჯდარიყო, რაფაზე ფერადი ფანქრები დაეხვავებინა და ქოთანში აყვავილებულ ბალბას გულმოდგინედ ხატავდა.

— სოლიკო, ბიჭო, სოლიკო!—გამოსძახა დედამ სამზარეულოდან,—აქ მო!—სოლიკომ ფანქრით კეფა მოიქექა, ზანტად წამოდგა და ფეხი აითრია.

— არ გეყურება?—დაუტატანა დედამ.

— მოვდივარ.—იკადრა ფეხის აჩქარება სოლიკომ და შუა კარში გაიხიდა.

— აი, ეს ცხელი ქადები დიდედას უნდა გაუტანო, წელან ისე გულით ინატრა, ეამება.—უთხრა დედამ და ნამცხვარი გაქათქათებულ ხელსახოცში გამოუკრა.

— ამ შუაღამისას?—ტუჩი აიბზუა სოლიკომ.

— რა შუაღამეა, ბიჭო; ჯერ შვიდი საათიც არ არის, აბა, ბურთის სათამაშოდ დაგიძახონ, ტყვიასავით გავარდები!—ალერსით კინკრიხოზე წამოუტიალა დედამ.

— ბნელა კია და...

— დაიჭი, გამომართვი... ხელსახოცი უკან წამოიღე, დილაზე დამჭირდება.

სოლიკომ ვეღარა გააწყო რა და უჩუმრად გაიხურა კარი.

აივანზე გამოვიდა თუ არა, ეზოში რაღაც ბრჭყვიალა დაინახა და ისევ უკან შემოვარდა.

— მგელი იქნება, იმას უბრჭყვიალებს ასე თვალები.—სოლიკოს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა.—იქნებ ჩვენი კატაა?—ცოტა დამშვიდდა ბიჭი, მაგრამ მოიხედა და დაინახა, კატა ტახტზე თვლემდა.

—ამ მუდრეგს, აგერ სადა სძინავს, ეგეც არის გულადი რა, ამ ღამეში ისეირნოს, აცხა, შე მჩხავანა, შენა!—ჩუსტს წამოავლო სოლიკომ ხელი და კატა ტახტიდან დაიფრინა.

— შენ კიდევ აქა ხარ?—გამოიხედა დედამ სამზარეულოდან.

— მივდივარ, თასმებს ვიკრავ...

სოლიკომ ფეხსაცმლის თასმები განგებ შეიხსნა და ხელახლა დაიწყო შეკვრა, თუკი რამ ლექსი იცოდა, ერთმანეთზე მიაყარა სხაპასხუპით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სოლიკო, ბიჭო, რა ენაზე ენა გამოიბი, ველარ გაეტიე?—ახლა კი გაუჯავრდა დედა.

— მივდივარ, მივდივარ!—წამოავლო ქადებს ხელი სოლიკომ. თქვენ მტერს იმან რომ გულისფანცქალით გამოაღო ჭიშკარი. ერთ ხანს იდგა, ხან აღმა გაჰყურებდა გზას, ხან დაღმა. ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ბაღჩებს იქით ხბომ დაიბღავლა.

— ეს ხომ ეპიტაანთ ბოჩოლაა.—გული დაიმშვიდა სოლიკომ. ახლა რიყის გაღმა ძაღლი აყეფდა.—რას იყეფება ეს ბოხვერა ესა,—გული მოუვიდა სოლიკოს და ქვებით დაიტენა ჯიბეები. უცებ შარაზე ყმაწვილების სიმღერა გაისმა. მალე გოგონებმა და ბიჭუნებმა სოლიკოს ჭიშკარს ჩაუარეს. სოლიკომ დაჰკრა ფეხი, შეერია ყმაწვილებში და თვითონაც წკრიალა ხმით შემოსძახა სიმღერა. სულ გადაავიწყდა შიში, გულადად მიაბიჯებდა, მიდიოდა და მიიმღეროდა.





ძვირფასო ბავშვებო! მწერალ გიორგი კაჭახიძეს 60 წელი შეუსრულდა. იგი დიდხანს თქვენს საყვარელ ჟურნალებს „დილასა“ და „პიონერს“ ხელმძღვანელობდა და თქვენთვის მრავალი კარგი ლექსი და საინტერესო წიგნი დაუწერია.

ჟურნალ „დილას“ რედაქცია თქვენთან ერთად ულოცავს ძია გიორგის ამ სახელოვან იუბილეს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს, რომ კვლავ მრავალი კარგი ლექსით გაგვახაროს.

## დედაქალაქი თბილისი

**გიორგი კაჭახიძე**

მხრებს შლის, გუგუნებს თბილისი,
ბევრი სიკეთის მშობელი,
ყურს უგდებს ყველა ქართველი,
ქალაქი, დაბა, სოფელი.
სამშობლოს მთა-ბარს ჰფენია
მისი ელვარე ნათელი,
მის გაბრწყინებულ ხეივნებს
შეჰხარის ყველა ქართველი.
მხრებს შლის, ყვავილობს თბილისი,
დამჩატებია ნაღველი,
ბევრი ჰყავს შვილი განთქმული,
მიმსვლელ-მომსვლელი, მნახველი;
შორს ისმის მისი გუგუნი,
მისი ქართული სახელი.



# პირველი მაისი თბილისში

ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

პირველი მაისის ზეიმმა კიდევ უფრო დაამშვენა ჩვენი დედაქალაქი. ნაირფრად მორთულ პროსპექტზე ლამაზი პლაკატებით ჩაიარეს მშრომელებმა. ფრიალებდნენ პიონერების წითელი ალმები. ისმოდა მუსიკის საამო ჰანგები, ლაღი სიმღერები. ხარობდა ყველა, დიდი თუ პატარა.

მაგრამ ასე როდი იყო წინათ. მეფის მთავრობა მუშებს უკრძალავდა პირველი მაისის დღესასწაულს. აი, რას გვიამბობენ თბილისში პირველად გამართულ სამაისო დემონსტრაციაზე ძველი რევოლუციონერები.

ამ მაისობისათვის მზადება თბილისის მუშებმა დიდი ხნით ადრე დაიწყეს. ერთ მუშას ხატვა ეხერხებოდა და წითელი დროშის მომზადება დაავალეს. მან დროშაზე მარქსის და ენგელსის სურათები დახატა და ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე წარწერები გაუკეთა.

იმ დღეს მზე ისე ბრწყინავდა, თითქოს ისიც სადღესასწაულოდ ემზადებოდა. დემონსტრაცია ახლანდელი კომუნარების ბაღთან მოეწყო.

პოლიცია მუშების განზრახვას მიხვდა და მეთვალყურეობა გააძლიერა. მუშები მაინც არ შეეპუვნენ. მოედანზე თავი მოიყარეს რკინიგზის, დეპოს და თბილისის სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა. თავის დასაცავად სახედრებით და ურმით შინდის ჯოხები მოზიდეს. მოუთმენლად ელოდნენ ნიშანს. მართლაც, დათქმულ დროს საიდანღაც გამოჩნდა დიდი ჯოხი, ზედ დროშა დაამაგრეს და ააფრიალეს. „ვაშა! გაუმარჯოს პირველ მაისს!“ — გაისმა შეძახილები. პოლიციელები მუშებს მივარდნენ, უნდოდათ დროშა წაერთმიათ, მაგრამ მათ ასე ადვილად როდი დათმეს, თავისუფლების წითელი დროშა ხელიდან ხელში გადადიოდა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. პოლიცია დემონსტრაციის მონაწილეებს მათრახითა და ხმლით დაერია. ამ შეტაკებაში მოკლეს ბოქაული და ორი პოლიციელი, მაგრამ მუშებიც დაშავდნენ. ბევრი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. ამ ისტორიულ დემონსტრაციაში მუშებს თავისუფლებისაკენ მოუწოდებდნენ ცნობილი რევოლუციონერები: ვანო სტურუა, მიხო ბოჭორიძე, ზაქარია ჩოდრიშვილი და სხვები.

ეს სამაისო დემონსტრაცია 1901 წელს მოეწყო. ამის შემდეგ საქართველოს მუშები რუსეთის მშრომელებთან ერთად მეფის წინააღმდეგ კიდევ უფრო დაირაზმნენ და ჩვენს ქვეყანაში თავისუფლების წითელი დროშა აფრიალდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყვინჩილა

გიორგი ავალიანი

ნახატი ელ. ამბოკაძისა

პატარა მალხაზს მამიდა ელომ მეზობელი სოფლიდან საჩუქრად ყვინჩილა მოუყვანა. მაღალ, გრძელკისერა ყვინჩილას მსხვილი კაუჭა ნისკარტი და წითლად შერუჯული ბიბილო, ჩალისფერი ბუმბული და მკვრივი დეზები ჰქონდა.

ყვინჩილა შორი გზიდან ღამით მოიყვანეს, საქათმის გაღება დაეზარათ და ის ღამე ყვინჩილამ ბნელ სარდაფში ყუთებს შორის გაატარა.

სარდაფში უკუნი სიბნელე იყო. ყვინჩილა ფეხებშეკრული იატაკზე ეგდო და მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. თავის ბედს უცრემლოდ დასტიროდა, რადგან ყვინჩილას თავი ვაჟკაცად მოჰქონდა, იცოდა, რომ ვაჟკაცის თვალზე ცრემლი სირცხვილია.

დრო გადიოდა. უფანჯრო სარდაფში ისევ უკუნი სიბნელე იდგა. მაგრამ ყვინჩილა ცისკრის მოახლოებას მამლური ალღოთი გრძნობდა და ეს ძალ-ღონეს მატებდა და ამხნევებდა.

საქათმეში კი ამ დროს გადებულ ძელზე ტკბილად თვლემდნენ ყვინჩილები, ვარიები, წიწილები. ძირს კი ერთ კუთხეში თორმეტიოდე ჩვილ წიწილას ფეხებბანჯგვლიანი, თავკომბალა კრუხი გადაფაფროდა.

ალიონზე საქათმის კარი გაიღო და ფრინველები ეზოს ხმაურით მოეფინენ.

მალე მზეც ამოვიდა, მაგრამ ფეხებშეკრული ყვინჩილა კი ისევ სარდაფში ეგდო. დაიღალა. მოშივდა კიდეც. დაყივლებაც გადაწყვიტა, მაგრამ მწოლიარეს ჯერ არასდროს უყივლია და ვერც ახლა ბედავდა, ვაითუ, ილაჯმა მიღალატოსო.

ძალა მოიკრიბა. წამოიწია. კისერი უკან გადაიგდო და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაიყივლა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ყივილზე გაახსენდათ ყვინჩილა. ფეხები გაუხსნეს და ეზოში გამოაგდეს.

ყვინჩილამ გაიხედ-გამოიხედა, იქაურობა ეუცხოვა. მაგრამ მალე მოშინაურდა. გაკვირვებულმა ქათმებმა ახედ-დახედეს. ერთი ტანმორჩილი ყვინჩილა დაუპატიჟებელ სტუმარს მიუახლოვდა. ჯერ წინ დაუდგა, ხოლო შემდეგ გვერდიდან მოექცა, კისერი წაიგრძელა. მარცხენა ფეხი გაჭიმა, მარცხენა ფრთა გაშალა ისე, რომ მისი ბოლო მიწას დააბჯინა და ასე ფაფხურ-ფაფხურით გარს შემოუარა. ეს ვერ მოითმინა მამლაყინწა სტუმარმა, თვალის დახამხამებაში ისკუპა და თავზედ მასპინძელს მოკაუჭებული ნისკარტი ისე მძლავრად ჩაჭკრა თავში, რომ ერთი დაიკვნესა და თავბრუდახვეული ეზოს მეორე კუთხისაკენ გაიქცა. ამ ამბავმა ქათმებში დიდი ქოთქოთი გამოიწვია. ერთ ხანს სტუმარს შორიდან კისერწაგრძელებულები შესცქეროდნენ, შემდეგ კი ყველაზე მოზრდილი მამლაყინწა მედიდურად გაემართა მისკენ.

რა გზა ჰქონდა სტუმარ ყვინჩილას, უნდა შებრძოლებოდა გაავებულ მასპინძელს. მან იცოდა, თუ ახლა მოერეოდნენ, შემდეგ გაუმწარებდნენ დღეს. გაჭირვებამ ძალა შემატა და მტერს მედგრად დაუხვდა. ეს ბრძოლაც სტუმრის გამარჯვებით დამთავრდა.

ახლა იმედი მხოლოდ ბებერ კრუხზელა იყო. კრუხმაც არ დააყოვნა და სტუმარს თავგამეტებით ეძგერა.

ამასაც მარჯვედ დაუხვდა ყვინჩილა. კრუხის ქვედა ბიბილოები იგდო ნისკარტში, კისერი მოუგრიხა და მიწაზე დააბჯენინა. ასე გააჩერა მანამ, ვიდრე კრუხმა სიმწრისაგან კრიახი არ დაიწყო. მაშინ კი აუშვა ყვინჩილამ და კრუხმაც თავს უშველა.

ბავშვები თვალს ვერ აშორებდნენ ეზოს. გახარებული მაღხაზი ხმამაღლა გაჰყვიროდა: — ფალავანია! ფალავანი!

გამარჯვებული ყვინჩილა ერთ ხანს უცდიდა, — აბა, თუ კიდევ ვინმე რამეს შემომბედავსო, მაგრამ ველარავინ გაბედა. მაშინ მან მედიდურად მიიხედ-მოიხედა, ლობეზე აფრინდა და ყველას გასაგონად ამაყად შემოსძახა:

— ყიყლიყოო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასეირნება

გივი ალექსანდრია

ნახატი ლორეტა შენგელიასი

დედა და ბიჭი ბაღში სეირნობდნენ, მერე სკამზე ჩამოსხდნენ და შეისვენეს. ცაზე თეთრი ფუნჩულა ღრუბლები მიცურავდა. ბიჭმა თვალი გააყოლა.

— დედა, იმ მთას იქით რა არის?— იკითხა ბიჭმა და ხელი მთისკენ გაიშვირა.

— იმ მთას იქითაც მთაა,—უპასუხა დედამ.

— კიდევ იქით?



— მინდვრებია.

— მინდვრებს იქით?

— მინდვრებს იქით ტყეებია.

— ტყეებს იქით?

— ტყეებს იქით მდინარეებია, მდინარეების მერე ტბებია, ტბების შემდეგ ისევ მთები იწყება, უფრო იქით ზღვებია...

— ზღვების იქით რა არის?

— ზღვების იქით შორეული ქვეყნებია.

— ქვეყანა რაღა არის.

— ქვეყანა ჩვენი სამშობლოა.

ბიჭი და დედა ბაღიდან გამოვიდნენ, გაიხედ-გამოიხედეს, ქუჩა გადასჭრეს და შინისაკენ გზას წყნარად გაუყვნენ.

— დედა, რა არის სამშობლო?—იკითხა ბიჭმა.

— სამშობლო ის ადგილია, სადაც დაიბადე, სადაც მამა და ბაბუა დაიბადნენ, სადაც „შობილხარ, გაზრდილხარ“.

— მე სად დავიბადე?

— შენ საქართველოში დაიბადე, ამიტომ შენი სამშობლო საქართველოა.

— შენი?

— ჩემი სამშობლოც საქართველოა.

— დედა, სულ რომ იარო, იარო, იარო... სად მიხვალ?

— ისევ აქ მოხვალ...

— რატომ?

— იმიტომ, რომ დედამიწა მრგვალია და რომ „იარო, იარო, ცხრა მთა, ცხრა ზღვა, ცხრა ქვეყანა გადაიარო“ ისევ იქ მიხვალ, სადაც შობილხარ და გაზრდილხარ.

— მრგვალი როგორია?

— ბურთისნაირი. ყველაფერი, რაც ბურთსა ჰგავს, მრგვალია.

— მთვარე?—იკითხა ბიჭმა.

— მთვარეც მრგვალია.

— მზე, მზეც ხომ მრგვალია?

— მზეც, შვილო!

# ყვავი, ბუ და მელაკუდა

ზ ღ ა პ ა რ ი

იყო და არა იყო რა! იყო ერთი თვალებგადმოკარკლული ბუ. ერთხელ ბუმ მუხის ფუღუროში ბუდე გაიკეთა, შიგ კვერცხები ჩააწყო და გამოსაჩეკად დაჯდა. თურმე შორიახლოს მელაკუდა ბინადრობდა, თვალის დახამხამებაში მუხის ძირას გაჩნდა, გადაჯინჯილებული კუდი მუხას შემოჰკრა და დაიღიღინა:

კაკი-კუკი, კეკინა,
მუხავ, ხომ არ გეტკინა?

ბუმ კაკუნი გაიგონა, ფუღუროდან გადმოიხედა და მელას ჩამოსძახა:

— რას აკაკუნებ, მელიავ?

მელიამ მიუმღერა:

კიკლი, კიკლი, კიკლიბალე,
მუხას მოვჭრი ძირში მალე!

— მერე და რად გინდა მუხა?—ჰკითხა ბუმ.

მელიამ სიმღერითვე განაგრძო:

დავაპობ და ნაპობიდან
ქოში უნდა გამოვთალო,
გირჩევნია ფუღუროდან
ბუდიანად გამეცალო!

— ჯერ ნუ მოჭრი, ჩემო მელაკუდავ, ბუდეში ბარტყებს ვჩეკო!—შეეხვეწა ბუ.

რა ვქნა, დაო, ვერ გიშველი!
ველარ ვივლი ფეხშიშველი.

ჩაიღიღინა მელიამ.

— კვერცხებს ნუ გამილაყებ, ჩემო კეთილო, ამდენ ხანს თუ გივლია, ერთ კვირას კიდევ იარე ფეხშიშველი და ამასობაში ბარტყებსაც გამოვჩეკო.—თხოვა ბუმ.

მელიას ბუს რჩევა მოეწონა. იფიქრა: იქნებ ასე სჯობდესო და გაშორდა.

ერთი კვირის შემდეგ მელია მუხის ძირას მიცუნცულდა, კუდი მუხას შემოჰკრა და დაიღიღინა:

კაკი-კუკი, კეკინა,
მუხავ, ხომ არ გეტკინა?





ბუმ კაკუნი გაიგონა, ფულუროდან თვალები გადმოკარკლა და ჩამოსძახა:

— რას აკაკუნებ, მელიავ?

მელიამ მიუმღერა:

კიკლი, კიკლი, კიკლიბალე,
მუხას მოვჭრი ძირში მალე!

— ერთ კვირას კიდევ მაცალე, ვიდრე ბარტყები წამოიჩიტებიან.

— რა გაეწყობა, კარგიო,— უთხრა მელამ და გაეცალა.

უცებ მუხის ფოთლები აშრიალდა. შეშინებულმა ბუმ აკანკალებული ხმით შესძახა:

— ვინა ხარ?

— ყვავი გახლავარ! რამ შეგაშინა?

— მელაკუდა მუხის მოჭრას აპირებს და ფოთლის შრიალიც კი შიშსა მგვრის.— შესჩივლა ბუმ.

— ჰაი, შე ბრიყვო, შენა! სად ნახულა მელას მოჭრილი მუხა? იმას შენი ბარტყების შეხრამუნება უნდა და ამიტომ გაშინებს. როცა მოვიდეს, უთხარი: ცრუპენტელა ხარ, ცრუპენტელა-თქო! ცარიელ-ტარიელი გაისტუმრე.— ჩააგონა ბუს ყვავმა და გაფრინდა.

ერთი კვირის შემდეგ მელაკუდა მუხის ძირას მიცუნცულდა და დაიღიღინა:

კაკი-კუკი, კეკინა,
მუხავ ხომ არ გეტკინა?



ბიბლიოთეკა

ბუმ კაკუნი გაიგონა და ფულუროდან გადმოსძახა:

— რას აკაკუნებ, მელიავ?

მელამ მიუმღერა:

კიკლი, კიკლი, კიკლიბალე,
მუხას მოვჭრი ძირში მალე!

— ცრუპენტელა ხარ, ცრუპენტელა! ჩემი ბარტყების შეხრამუნება გინდა და ამიტომ მაშინებ, არა? აბა, ვის უნახავს შენი მოჭრილი მუხა? ახლა გასწი და ვინც მოგიტყუებია, ის მოატყუეო.— არხეინად მიუგო ბუმ.

დაღონდა მელაკუდა და ბუს ჰკითხა:

— ეს მაინც მითხარი, ვინ ჩაგაგონა?

ბუს არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ მელაკუდა არ მოეშვა.

— ყვავმა ჩამაგონაო!— უთხრა ბუმ.



ეროვნული ბიბლიოთეკა





— კეთილი! იმ ყრანტალას სეირს ვაყურებინებო! — დაემუქრა მელა და გაშორდა.

მელიამ ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მინდორში გაწვა და თავი მოიმკვდარუნა.

მალე საიდანღაც ყვავი მოფრინდა. მინდორში გაშოტილი მელია რომ დახვდა, გაუხარდა: „მელია მომკვდარა და მადიანად მივაძღებიო“. — დაჯდა მიწაზე, მაგრამ „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“, გაიფიქრა და მელას ირგვლივ შემოუარა. ერთი მხრიდან მიახტა და ჰკითხა:

10.367

— მელაკუდავ, მკვდარი ხარ თუ ცოცხალი?

მელია გაისუსა.

ყვავი ახლა მეორე მხრიდან მიახტა და გაუმეორა:

— მელაკუდავ, თუ ცოცხალი ხარ, გამომეხმაურეო.

მელია სულსაც არ ითქვამდა. ყვავი დარწმუნდა, მელია მომკვდარაო და გათამამდა, ზურგზე შეახტა და სამჯერ დაიყრანტალა:

— ყვააა, ყვააა, ყვააა!

მელამ მეტი აღარ აცალა, პირი სტაცა და მიწას დაანარცხა.

— ახლა სადღა წამიხვალ, შე ყრანტალა, შენა! ბუს ჩაგონებისათვის გასამრჯელო მიირთვიო!

ყვავი შეეხვეწა:

— მელაკუდავ, ჩემო თვალის სინათლევ, სწრაფად მაინც მომკალი, ნუ დამტანჯავ ისე, როგორც საბრალო დედაჩემი აწამესო.

— როგორ აწამეს დედაშენი? — ჰკითხა მელამ.

— როგორ და, საცოდავი ჩემსავით დაიჭირეს, საცერში ჩასვეს, აგორეს და აგორეს, აგორეს და აგორეს, ვიდრე სული არ ამოხდაო!

— ოჰოო! მაშ, შენც ის დღე მოგელის! — დაემუქრა მელია.

იშოვა მელიამ საცერი, ჩასვა შიგ ყვავი, აგორა და აგორა... ყვავმა დრო იხელთა და უცებ... ერიჰა! ფრიიი... ჰაერში შეინავარდა, მუხაზე შეფრინდა და მელაკუდას ჩამოსძახა:

— წადი ახლა მელაკუდავ და, სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიც არ დაგავიწყდესო!

გაცუცურაკებულმა მელამ ძურწა თავი და ცარიელ-ტარიელი უსიერ ტყეში მიიმალა.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,  
ბუ ბუდეში ჩამხტარიყო,  
ყვავსაც გაეცურებინა,  
მელა ჯავრით აღარ იყო.

გადმოაკეთა დავით დონდუამ  
ნახატები დიმიტრი ხარაშვილისა

# [illegible]



## ჭოკით ხტომა

გივი გეგეჭკორი

ჭიანჭველამ ბოძი ჩასვა,
დაამაგრა ზედ თამასა
და კალია ჭოკით ხელში
ახტუნა და ათამაშა.



## ხათუნა

ნუნუ ლალიძე

ეს პეპელა მოფრენილა,
თუ გოგოა ხათუნა?!
წინსაფრით და თეთრი ბაფთით
რა საქმეში გართულა?
ყოველ დილით აბანავებს
ცუგრიას და დათუნას.

## ონდატრა

პაწაწინა ცხოველი ონდატრა მღრღნელთა ოჯახს ეკუთვნის. იგი გარეგნულად პატარა თახვს წააგავს. მისი სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკაა.

ონდატრა ბალახებითა და წყლის მცენარეებით წყალში ბინას იკეთებს. ამიტომ მტერი ადვილად ვერაფერს აკლებს.

თუ მტერი უთვალთვალებს, მაშინ გარეთ აღარ გამოდის, თავის ბინას შიგნიდან მადიანად შეექცევა.

აი, რა გემრიელი სახლი აქვს ონდატრას!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთვრალი დათვი

**ვახტანგ ძნელაძე**

მობარბაცებს დათვი,
გამომთვრალა თაფლით.
წამოედო ჯაგებს,
ბუნაგს ველარ აგნებს,
ხიდან უმზერს ჩხიკვი,
ვერ იკავებს სიცილს.
ასე მოსდის ყველას,
ზომა ვინც არ იცის.

## გამოცანა

ხიდი — წყალზე,
სახლი — ხიდზე,
ქვა გარბის და
წყალი მისდევს.

**გიორგი წერეთელი**

თავზე ხურავს ბრტყელი ქუდი,
წვერი მოკლე, ტანი გრძელი,
თავში სცემენ, გარბის ქუდით,
სოროში ზის თავის დღენი!

ეროვნული ბიბლიოთეკა





## რებუსი




შეადგინა დუშეთის რაიონის სოფელ ყვავილის სკოლის მოსწავლემ ცარო ჭონქაძემ.



მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი.

სარედაქციო კოლეგია: გ. გეგეჭკორი (მთ. რედაქტორის მოადგილე), ქ. გოგიაშვილი, ჯ. ლოლუა, მაყ. მრევლიშვილი, ჯ. ნინუა, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), ნ. წულეისკირი რ. ჭეიშვილი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ყდაზე ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა

ტექრედაქტორი ზ. როინიშვილი

გამოცემის მე-40-ე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გამომცემლობა „ნაკადული", გამომც. შეკვ. № 34, სტამბის შეკვ. № 435, ტირაჟი 82.000, ქაღ. ზომა 60×90¹/₈ ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/III-67 წ.

ჟურნალი დაბეჭდილია საქ. კპ ცკ გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატში ლენინის ქ. № 14 „ДИЛА" № 5 на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91, ტელ. 5-37-38, 5-18-09.

ფასი 20 კაპ.

0 40/93
76055 ეროვნული ბიბლიოთეკა







„კოსმოსში“—ნახატი მამუკა ჯაფარიძისა, 4 წ. თბილისი

„სამაია“—ნახატი მანანა ყიფიანისა, 8 წ. თბილისი.

“მზარეული“—ნახატი ლონდა როინიშვილისა, 9 წ. თბილისი.

„ჩემი ქალაქი“—ნახატი ნანა ქუთათელაძისა, 9 წ. თბილისი.

„ჩემი სოფელი“—ნახატი არჩილ ქანთარიასი, 8 წ. ფოთი.

„ნატურმორტი“—ნახატი რუსუდან მირცხულავასი, 7 წ. თბილისი.





